PRIME CONCRETE

ALPHA CAPITAL ADVISORY

4 სექტემბერი, 2023

„პრაიმ ბეტონი“ საქართველოში და სექტორში პირველ წმვანე/ლურჯ ობლიგაციას განათავსებს.

2023 წლის 4 სექტემბერს, „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ საბოლოო პროსპექტის დამტკიცების შემდეგ, შპს „პრაიმ ბეტონმა“ („კომპანია“) დაიწყო 7,500,000 აშშ დოლარის ოდენობის საინაუგურაციო მწვანე/ლურჯი სავალო ფასიანი ქაღალდის (ე.წ. „მწვანე/ლურჯი ობლიგაციის“) ემისია. ფასიანი ქაღალდის ემისია განხორციელდება საჯარო განთავსების გზით 2023 წლის 4 სექტემბრიდან და მიზანმიმართული იქნება გათვითცნობიერებულ ინვესტორებზე.

ფასიანი ქაღალდის ემისიის განთავსების აგენტი არის: შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“; ტრანზაქციის იურიდიული მრჩეველი: შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“; ხოლო გადახდისა და კალკულაციის აგენტი: სს „პაშა ბანკი საქართველო“. კომპანიამ მიიღო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (International Financial Corporation) ტექნიკური დახმარება, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა კომპანიის მწვანე/ლურჯი ობლიგაციის ჩარჩო, რომელიც თავის მხრივ სერტიფიცირებული იყო CICERO Shades of Green-ის მიერ, რომელიც ერთ-ერთი გლობალური ლიდერია მდგრადი ობლიგაციების სერტიფიცირების (Second Party Opinion) დარგში და არის „ესენდპი (სტანდარტ ენდ პუარს) გლობალის“ (S&P Global) ჯგუფის წევრი.

ტრანზაქციის მიზანია კომპანიისთვის მდგრადი დაფინანსების მოზიდვა, რომელიც თავის მხრივ მიმართული იქნება როგორც არსებული სესხების ნაწილობრივი რეფინანსირებისათვის, ასევე კომპანიის მწვანე/ლურჯი პროექტების დასაფინანსებლად.

ტრანზაქციის ძირითადი პარამეტრები შემდეგია:

ემიტენტი	შპს „პრაიმ ბეტონი“
ემისიის ფორმა	საჯარო შეთავაზება. ფასიანი ქაღალდი გამიზნულია დაილისტოს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“
შეთავაზებული ფასიანი ქაღალდი	არასუბორდინირებული და არაუზრუნველყოფილი ობლიგაცია
ემისიის მოცულობა	7,500,000 აშშ დოლარი
ობლიგაციის ნომინალური ღირებულება	1,000 აშშ დოლარი
ობლიგაციების ემისიის თარიღი	4 სექტემბერი 2023
ვადიანობა, ძირის გადახდის თარიღი	4 წელი, ობლიგაციები ვადამოსული ხდება 2027 წლის 4 სექტემბერს
წლიური კუპონის განაკვეთი	10.50%
პროცენტის გადახდა	ნახევარწლიური
ინვესტორები	მხოლოდ გათვითცნობიერებული ინვესტორები
კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა

„მნიშვნელოვანი მოვლენაა, როგორც ჩვენი კომპანიისთვის, ასევე მთლიანად სამშენებლო ინდუსტრიისთვის. ერთის მხრივ მოვახერხეთ და გავაჩინეთ კაპიტალის დაფიანსების თვისობრივად ახალი წყარო. ტრადიცულად სამშენებლო სექტორის დაფინანსება მოკლევადიანი საბანკო სესხებით ხდება, რაც საკმაოდ მძიმე ტვირთია ინფრასტრუქტურის მშენებელი კომპანიებისთვის. ჩვენ ბონდის გამოშვებით, ეს გამოწვევა დავძლიეთ. მეორეს მხრივ, სამშენებლო ინდუსტრიაში, რომელიც ტრადიცულად გარემოზე მძიმე ზეგავლენით გამოირჩევა, მდგრადი მიდგომებით გავაჩინეთ მწვანე დაფინანსების პრეცედენტი, რომელსაც ვიმედოვნებთ რომ კიდევ მეტად განვავრცობთ. მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს გუნდს, რომელმაც წარამტებით დაძლია ეს გამოწვევა. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორის“ შესრულებული სამუშაოსთვის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას გაწეული ტექნიკური დამხარებისთვის“ - განაცხადა ალექსანდრე სოკოლოვსკიმ, შპს „პრაიმ ბეტონის“ გენერალურმა დირექტორმა.

„აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სავალო ფასიანი ქაღალდი წარმოადგენს პირველ მწვანე/ლურჯ ემისიას საქართველოს კაპიტალის ბაზარზე. ასევე, პირველად საქართველოს კაპიტალის ბაზარზე, ინფრასტრუქტურის, სამშენებლო და ბეტონის წარმოების სექტორის წარმომადგენელი კომპანია საქართველოში დაფინანსებას მოიძიებს ობლიგაციების ბაზარზე მდგრადი დაფინანსების მეშვეობით. მისასალმებელია კომპანია „პრაიმ ბეტონის“ სულისკვეთება მდგრადი დაფინანსების გზით უზრუნველყონ მომავალი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება საქართველოში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოს მდგრად განვითარებასა და გარემოს შედარებით მაღალი დონით დამაბინძურებელი სექტორის მორიგ გამწვანებას. იმედი გვაქვს, რომ კომპანიას დასახული მწვანე/ლურჯი მიზნების განხორციელების მხარდასაჭერად, გათვითცნობიერებული ინვესტორების აქტივობაც მაღალი იქნება. მდგრადი დაფინანსება მზარდი მიმართულებაა მსოფლიოს კაპიტალის ბაზრებზე და ამ მიმართულებით ქართული კომპანიის უნიკალური მწვანე/ლურჯი ობლიგაციის ემისიაც, ვთვლით, რომ მნიშვნელოვანი მაგალითი იქნება როგორც ადგილობრივი ასე საერთაშორისო მსგავსი კომპანიებისათვის. მადლობა შპს „პრაიმ ბეტონის“ მენეჯმენტსა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ტექნიკური დახმარების პროგრამის გუნდს (რომელიც ფინანსდება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის, ნიდერლანდების მთავრობისა და HSBC-ის დაფინანსებით), საქართველოს მდგრადი კაპიტალის ბაზრის გაღრმავებაში შეტანილი წვლილისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანია გათვითცნობიერებულ ინვესტორებს სთავაზობს ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე ყველაზე მაღალ ამონაგებს აშშ დოლარში - 10.5%-ი წლიურ საპროცენტო განაკვეთს. და ბოლოს, აღნიშნული ტრანზაქცია წარმოადგენს „ალფა კაპიტალ“ ედვაიზორის, როგორც კაპიტალის ბაზრის დამოუკიდებელი მოთამაშის, პირველ საჯარო მდგრადი დაფინანსების ფასიანი ქაღალდის ტრანზაქციას. როგორც დამოუკიდებელი მოთამაშე ბაზარზე, ვიმედოვნებთ რომ ბევრი საინტერესო ტრანზაქციით შევუწყობთ კაპიტალის ბაზრის განვითარებას ხელს“ - განაცხადა ირაკლი ელაშვილმა, შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორის“ მმართველმა პარტნიორმა.

PRIME CONCRETE

ALPHA CAPITAL ADVISORY

შპს „პრაიმ ბეტონის“ შესახებ:

შპს "პრაიმ ბეტონი" ძირითადი მიმართულებაა ინფრასტრუტურული მშენებლობა და სამშნებლო მასალების წარმოება. კომპანია დაარსდა 2008 წლის ნოემბერში. ამჟამად „პრაიმ ბეტონში“ 300-მდე ადამიანი არის დასაქმებული. ინფრასტრუქტურის მშენებლობა კომპანიის ძირითადი საქმიანობაა და მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- საპორტო და ჰიდროტექნიკური მშენებლობა
- წყალმომარაგების და წყალარინების ინფრასტრუქტურის მშნებლობა
- საავტომობილო გზების და ხიდების მშენებლობა
- სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა
- პროექტირება და სამმშენებლო პროექტების მართვა

კომპანია „პრაიმ ბეტონს“ გააჩნია 100 ერთეულზე მეტი სხვადასხვა დანიშნულების თანამედროვე სამშენებლო მანქანა-მექანიზმები და სატვირთო მანქანები. კომპანია აწარმოებს ბეტონს, ბეტონის ანაკრებ კონსტრუქციებს და ინერტულ მასალებს.

შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორის“ შესახებ:

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საინვესტიციო საბანკო და საკონსულტაციო მომსახურებას ფასიანი ქაღალდების განთავსების თაობაზე და კორპორატიული ფინანსების მიმართულებით სხვადასხვა ფინანსური რჩევების მიცემას კომპანიებისათვის და ინვესტორებისათვის. კომპანიამ 2021 წლის 9 ნოემბერს „საქართველოს ეროვნული ბანკისგან“ მოიპოვა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ა“-„დ“ პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობების ლიცენზია. „ალფა კაპიტალი ედვაიზორის“ მიზანია აქტიური წვლილი შეიტანოს საქართველოს, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის კაპიტალის ბაზრის განვითარებაში, ხელი შეუწყოს კომპანიებს დაფინანსების დივერსიფიცირებასა და შერწყმით, შესყიდვითა ან გასხვისებით დამატებითი ღირებულების შექმნაში. კომპანია საკუთარ კლიენტებს სთავაზობს მიუკერძოებულ და უმაღლესი ხარისხის საინვესტიციო-საბანკო ექსპერტიზას, პრობლემების ინოვაციურ გადაწყვეტასა და მიდგომას, რომელიც მიმართულია ერთი მიზნისკენ - „ალფა კაპიტალ ედვაიზორის“ კლიენტებს მიაღწევინოს სასურველი სტრატეგიული შედეგი. კომპანიის თანადამფუძნებლები და მმართველი პარტნიორები არიან ირაკლი ელაშვილი და ლევან წუწუნავა.